



საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-15/5566
13/06/2023

5566-15-15-2-202306131154



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

წინადადება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილ
თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული
შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის
შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა [REDACTED] და [REDACTED]
[REDACTED] განცხადებები,¹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის
მხრიდან მათი უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. საქმის შესწავლის შედეგად
გამოვლინდა, რომ მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შინაგან საქმეთა
სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი
მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას, რასთან დაკავშირებითაც საჭიროა
დისციპლინური წარმოების ჩატარება.

ფაქტობრივი გარემოებები

2022 წლის 19 აგვისტოს [REDACTED] და [REDACTED] განცხადებით მიმართეს
სახალხო დამცველის აპარატს. განცხადებლებმა განმარტეს, რომ [REDACTED]
რეგისტრირებულ საკუთრებაში აქვს ორი ბინა ქალაქ წყალტუბოში, რომლის
თანამფლობელია [REDACTED]. მითითებულ ბინაში დარჩენის პირველივე დამეს,
[REDACTED] და [REDACTED]. სართულზე ავიდა მეზობლის გოგო, რომელმაც

¹ [REDACTED] N9483/22, N11420/22, N11509/22, N11472/22 განცხადებები.

თქვა, რომ მამა, [REDACTED] სცემდა დედას - [REDACTED] და დედა ითხოვდა მალადობის შესახებ პოლიციისთვის შეტყობინებას.

[REDACTED] გადმოცემით, დაუკავშირდა პოლიციას, თუმცა ისინი ცდილობდნენ გამოძიების დაწყების თავიდან არიდებას. მათივე გადმოცემით, გამომმიებელმა განუმარტა მათ, რომ საქართველოში ოჯახური მაღადობა ტრადიციაა და [REDACTED]. არ უნდა ჩარეულიყვნენ. განცხადებაში ციტირებულია გამომმიებელ [REDACTED] კომენტარები: „რა თქვენი საქმეა?“, „ჩვენთან ასეა მიღებული.“ „მერე რა, რომ ცოლს სცემს?!“, „თქვენ არ ხართ ოჯახის წევრები და არ გაქვთ უფლება შემოიტანოთ განცხადება“, „ეს მათი ოჯახის საქმეა“.

გარდა ამისა, განცხადებლები მოითხოვდნენ მათი მეზობლის, [REDACTED] მიმართ გამოძიების დაწყებას ხანძრის გაჩენისა და მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნის ფაქტზე, რაზეც გამომმიებელი [REDACTED] უარს ამბობდა. მათივე თქმით, გამომმიებელმა უთხრა, რომ ზოგადად, მსგავსი ფაქტის გამო განცხადებას არ წერენ, ასეთი საკითხები აქ სხვაგვარად წყდება და რომ ჰყოლოდათ ნაცნობი ე. წ. ბანდიტები, ისინი გაარკვევდნენ.

ასევე, განცხადებლები აღნიშნავდნენ, რომ გამომმიებელთან საუბრისას არ იყენენ უზრუნველყოფილნი კვალიფიციური თარჯიმნის მომსახურებით. [REDACTED] და [REDACTED] სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა აუდიო ჩანაწერი, რომლითაც დგინდება, რომ 112-ზე დატოვებულ შეტყობინებასთან დაკავშირებით, გამომმიებელთან სასაუბროდ მისულ განცხადებლებს, განყოფილებაში დახვდა გამომმიებელი და მამაკაცი, რომელიც თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა. აუდიო ჩანაწერის თანახმად, თარჯიმნის მოვალეობის შემსრულებელი პირი ამბობს, რომ არ არის თარჯიმანი, არის პოლიციის ყოფილი თანამშრომელი. აღნიშნა, რომ გამომმიებელმა დაურევა და დახმარება სთხოვა მათთან კომუნიკაციაში.

[REDACTED] და [REDACTED] განმარტებით, ზემოაღნიშნული პირები უარს აცხადებდნენ მათი განცხადების მიღებაზე (გამომმიების დაწყების მიზნით) და არწმუნებდნენ არ დაეწერათ საჩივარი ხანძრის მოწყობასთან დაკავშირებით. ხოლო როცა [REDACTED] და [REDACTED], არ დაეთანხმნენ გამომმიებელს და მანც ტოვებდნენ განცხადებას [REDACTED] წინააღმდეგ, გამომმიებელმა უთხრა - „ჩვენ აქ ჩვენი კანონები გვაქვს, ეს უკრაინა არ არის ბოლოს და ბოლოს“. აუდიო ჩანაწერის თანახმად, რომელიაც გაეცნო სახალხო დამცველის აპარატი, თარჯიმნის მოვალეობის შემსრულებელი მამაკაცი ცდილობს გადაარწმუნოს [REDACTED] და [REDACTED], რომ არ მოითხოვონ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყება და დასჯერდნენ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, იმ მიზეზით, რომ მაინც იქ აპირებენ ცხოვრების გაგრძელებას.

სახალხო დამცველის აპარატშა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით სამსახურებრივი შემოწმების დაწყების მიზნით.² გენერალური ინსპექციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით,

² საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 8 სექტემბრის N15-15/9095 წერილი.

ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, [REDACTED] და [REDACTED] უფლებების დარღვევისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან დისკიპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა.³

სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა და შეისწავლა, [REDACTED] და [REDACTED] სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები.⁴

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა მიერ წარმოდგენილ მასალებში⁵ მოიპოვება მხოლოდ შემდეგი დოკუმენტაცია:

- დეტექტივის თანაშემწერ-გამომძიებლის [REDACTED] ახსნა-განმარტება;
- ცნობა სისხლის სამართლის N [REDACTED] საქმეზე;
- ცნობა სისხლის სამართლის N [REDACTED] საქმეზე;
- [REDACTED] პირადობის მოწმობისა და რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის ბაკალავრის დიპლომის ასლი.

საგულისხმოა, რომ გენერალური ინსპექციის მასალების თანახმად, დეტექტივის თანაშემწერ-გამომძიებლის, [REDACTED] ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გარდა, სხვა მოქმედება ფაქტობრივად არ ჩატარებულა. [REDACTED] ახსნა-განმარტების თანახმად, ის იმიტობადა [REDACTED] ბრალდების სისხლის სამართლის და სავარაუდო ოჯახური დანაშაულის საქმეს, თუმცა მისი მხრიდან უფლებადარღვევის ფაქტებზე განმცხადებლები არ მიუთითებდნენ.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კანონმდებლობა ყველა პოლიციელს ავალდებულებს თავის საქმიანობაში განუხრელად დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპები.⁶

პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ უნდა არღვევდეს სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.⁷ საპოლიციო ღონისმიების ძირითადი სახელმძღვანელო

³ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 8 თებერვლის NMIA 6 23 00363473 წერილი.

⁴ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 15 თებერვლის N15-15/1708 წერილი.

⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 21 თებერვლის NMIA 4 23 00506210 წერილი.

⁶ საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, მუხ. 8, პუნქ. 1.

⁷ იხ. იქვე, მუხ. 9, პუნქტი 1.

პრინციპების დარღვევით განხორციელუბა იწვევს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.⁸

სამინისტროს სისტემაში ეთივის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ერთ-ერთი ამოცანაა.⁹

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების პროცესში, მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას, გენერალური ინსპექციის მოსამსახურებს უფლება აქვს მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) სამინისტროს მოსამსახურისგან სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისათვის აუცილებელი ან/და მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.¹⁰

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისას გენერალურ ინსპექციას ინფორმაციის მოპოვება მრავალი სხვადასხვა წყაროდან შეუძლია. მიუხედავად უფლებამოსილების ფართო სპეციალისა, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ მოქალაქეთა საჩივრებზე ეფექტური რეაგირება, სამწუხაროდ, კვლაც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, რასაც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მოქალაქეთა მომართვიანობა და შემოწმების შედეგები ადასტურებს.¹¹

სახალხო დამცველს არაერთი პირი მიმართავს სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა მხრიდან მათი უფლებების დარღვევისა და გენერალური ინსპექციების მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების არაეფექტურობასთან დაკავშირებით. აპარატმა შეისწავლა სამართალდამცავი სტრუქტურების გენერალური ინსპექციების, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის საქმიანობის პროცესი და დადგენილი პროცედურები, გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ისე - საკანონმდებლო ხასიათის ხარვეზები და გასცა რიგი რეკომენდაციები გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. მოცემული კვლევის შედეგები სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალურ ანგარიშში აისახა.¹² ამავე საკითხზე, სახალხო დამცველი საუბრობს ასევე 2022 წელს წარდგენილ საპარლამენტო ანგარიშში.¹³

⁸ იხ. იქვე, მუხ. 8, პუნქტი 2.

⁹ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის N123 ბრძანება, მუხ. 2, ქვეპ. „ბ“.

¹⁰ იხ. იქვე, მუხ. 9, პუნქტი 2.

¹¹ იხ. <<https://www.ombudsman.ge/geo/190411044320siakhlebi/sakhalkho-damtsveli-generaluri-inspeksiebis-matuskavas-kvlav-arefektianad-miichnevis>>

¹² საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიში „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების შიმართ“, ხელმისაწვდომია: <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2019041112142123160.pdf>> [23.02.2022].

¹³ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023, 65-66. აგრეთვე, სისხლის სამართლის

წინამდებარე საქმის ანალიზი

წინამდებარე საქმის ანალიზი ცხადყოფს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება არასრულყოფილი და ცალმხრივია. სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში გენერალური ინსპექცია მხოლოდ გამომძიებელ [REDACTED] ახსნა-განმარტების ჩამორთმევით შემოიფარგლა. მითითებული პირი აღნიშნავს, რომ გამომძიებამდე მათთან შეხება არ ჰქონია, [REDACTED] და [REDACTED] კი სწორედ გამომძიების დაწყებამდე, შეტყობინების შესახებ საუბრისას, გამომძიებელ [REDACTED] მხრიდან ჩადენილ უფლებადარღვევებზე აფიქსირებენ პრეტენზიას.

ადსანიშნავია, რომ [REDACTED] და [REDACTED] მიუთითებდნენ მათი უფლებების გამომძიებელ [REDACTED] მხრიდან დარღვევაზე. თუმცა გენერალური ინსპექციის თანამშრომელს არ გამოუკვეთა ვინ იყო განმცხადებლების მიერ დასახელებული, გამომძიებელი [REDACTED] და რა შეხება ჰქონდა მათთან.

ცხადია, მხოლოდ ერთი, განსახილველ საკითხთან მიმართებით ნაკლებად რელევანტური პირის პოზიციის გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილება ვერ იქნება ობიექტური, მითუმეტეს მაშინ, თუ მითითებულ პირთან დაკავშირებით განმცხადებლები არ წარადგენ უფლებადარღვევის შესახებ პრეტენზიას. აქედან გამომდინარე, გამოკვლევის და რეაგირების გარეშე რჩება არაერთი საკითხი, რის შესახებაც გენერალურ ინსპექციას ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა წყაროდან შეეძლო.

ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით განუხილველად დარჩა განმცხადებლის მიერ დაფიქსირებული საკითხები, არ არის მოპოვებული ერთი ნეიტრალური მტკიცებულებაც კი, რომელიც უარყოფდა ან დაადასტურებდა [REDACTED] და [REDACTED] განცხადებამი აღნიშნულ გარემოებებს. სამსახურებრივი შემოწმების შედეგების შესახებ არ არის მომზადებული შესაბამისი დასკვნა.¹⁴

უფრო მეტიც, გენერალურ ინსპექციას, არ ჰქონია ისეთი მტკიცებულების მოპოვების მცდელობაც კი, როგორიცა სავარაუდო უფლებადარღვეული პირების - [REDACTED] და [REDACTED] გამოკითხვა, გარემოებების დაზუსტების და მათგან დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით. [REDACTED] და [REDACTED] გამოკითხვის შემთხვევაში, გენერალური ინსპექცია განმცხადებლებისგან მიიღებდა აუდიო ჩანაწერებს, რომელზეც ასახულია გამომძიებელ [REDACTED] და თარჯიმნის მოვალეობის

მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 131-140 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf>.

¹⁴ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის N123 ბრძანება, მუხ. 9, პუნქტი 5.

შემსრულებელ, ყოფილ პოლიციის თანამშრომელთან საუბარი, რასაც, შესაძლოა, გავლენა მოეხდინა გენერალური ინსპექციის საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

გარდა ამისა, არ არის გამოკვლეული, პოლიციის განყოფილებაში ყოფნის პერიოდში, [REDACTED] და [REDACTED] შემხებლობაში მყოფი პირების რაოდენობისა და ვინაობის შესახებ ინფორმაცია, შემდგომ მათთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის მიზნით. არ არის დადგენილი, ვინ იყო ყოფილი პოლიციის თანამშრომელი, რომელსაც დახმარება სთხოვა გამომძიებელმა და თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა, ასევე, საქმის მასალებით არ დასტურდება რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტს, [REDACTED] რა შემხებლობა ჰქონდა მითითებულ საქმესთან და ნამდვილად ასრულებდა თუ არა თარჯიმნის მოვალეობას განმცხადებლებთან დაკავშირებულ სამართალწარმოების პროცესში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ და სხვა შემთხვევაში, მოქალაქეთა საჩივრების დროული, ყოველმხრივი და ეფექტური განხილვა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მოქალაქის უფლებების დასაცავად, არამედ, გადაწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს არასათანადო მოპყრობისა და სხვა დანაშაულის/სამართალდარღვევის პრევენციისთვის. ამავდროულად, ხელს უწყობს საზოგადოებაში პოლიციის მიმართ ნდობის ამაღლებას.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, აშვარაა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება არასრულყოფილია. გენერალური ინსპექციის შესაბამისი თანამშრომლის მიერ ვალდებულების ჯეროვანი შესრულების, ყველა შესაძლო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვებისა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირების გამოკითხვის შემთხვევაში, შესაძლოა სამსახურებრივი შემოწმება სხვა შედეგით დასრულებულიყო. ამდენად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლის ქმედება წარმოადგენს შესაძლო დისციპლინურ გადაცდომას, რაც წარმოადგენს მის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძველს.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ დისციპლინური წარმოება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის იმ თანამშრომლ(ებ)ის მიმართ,¹⁵ რომელმაც ჩატარა სამსახურებრივი შემოწმება პოლიციის თანამშრომლის მხრიდან [REDACTED] და [REDACTED] უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით,

¹⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ წარმოდგენილ, სამსახურებრივი შემოწმების მასალებში, არ არის მითითებული შემოწმების ჩატარებული პირის ვინაობა.

ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მის მიერ სამსახურებრივი
მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას და მიღლოთ კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

ამასთან, გთხოვთ, წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო
დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

